№ 69
ოთხშაბათი, 9 აპრილი 1897 წ.

1877 – 1897

# ივერია

№ 69
ბათი, 9 აპრილი 1897 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
კოლოთოშის ქუჩა, 21.
ტფილისი.
თის დასაბარებლად
ცხადებათა დასაბეჭდად
მართონ რედაქციის და წიგნ-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ახალი ამბავი

—

*** ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ გუშინ, 8 აპრილს განიხილა ტფილისის ამომრჩეველთა შესწორებული ნუსხა. გუშინვე ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა, ეხლავე დასტამბეთ უკვე დამტკიცებული ამომრჩეველთა სიები და გამოაქვეყნეთო. ამასთანავე საქალაქო საქმეთა საკრებულომ დაამტკიცა ის წესი, რომელიც უნდა დაცულ იქმნას ქალაქის ხმოსანთა არჩევანის დროს. არჩევნის წესი იგივეა, როგორც ამ ოთხის წლის წინად იყო, მხოლოდ საარჩევნო ყუთებზედ არ უნდა იყოს დაწერილი, რომელი კანდიდატი რამდენის კაცისაგან არის დასახელებული.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ განკარგულება მოუხდენიათ, შეჰკრიბონ იმათი ცნობანი ვინაობისა, შეძლებისა და ვაჭრობის შესახებ, რომელნიც მოქცეულნი არიან ტფილისის ქალაქის ამომრჩეველთა ნუსხაში.

*** ქალაქის გამგეობას ეხლა განუზრახავს შეადგინოს ვრცელი ნუსხა ყველა სახლის პატრონებისა ტფილისში. ამ ნუსხაში ყოველგვარი ცნობები იქნება მოყვანილი: რუსეთის ქვეშევრდომია, ან სად დაუმთავრებია სწავლა, გვარი, სახელი და მამის სახელი, რა ხელობისაა ანუ სადა მსახურებს, რითი ვაჭრობს და სხ. მიზეზი ამ ნუსხის შედგენისა ის არის, რომ მომავალ ამომრჩეველთა ნუსხის შედგენის დროს გამგეობა არ დაბრკოლდეს, როგორც ეხლა და ამდენი შეცდომები არ მოგვივიდესო.

*** თუ რამდენად უფრო გავრცელებულია ქალაქში ამ წელს გადამდები სნეულებანი, ამას ამტკიცებს სხვათა შორის, ისიც, რომ პირველ იანვრიდგან პირველ აპრილამდე 1895 წელს ქალაქში სულ 80-ჯერ დასჭირებიათ დეზინფექციის მოხმარება გადამდებ სენით შეპყრობილთა სადგომების გასაწმენდათ, წარსულ 1896 წელს იმავე პირველ სამის თვის განმავლობაში— 100 დეზინფექციისა. ხოლო ამ წელს იანვრიდგან აპრილამდე—370 დეზინფექციისა.

*** რადგანაც კოჯრის რკინის გზის პროექტის შემდგენელ ინჟენერის ნ. ისაიევისა და ერთ ფრანგულ კომპანიის მოლაპარაკება არაფრით არ გათავდა, და ბ-ნ ისაევს-კი არა აქვს იმდენი ფული, რომ თავისის ხარჯით გაიყვანოს რკინის გზა ტფილისსა და კოჯორს შუა, საფრანგეთის კაპიტალისტების საზოგადოებას უთხოვნია ჩვენის მთავრობისათვის, ნება მოგვეცით ჩვენ გამოვიკვლიოდ ეგ გზა და ტფილისსა და კოჯორს შუა ჩვენის ხარჯით გავმართავთ რკინის გზასაო.

*** საქარის ამერიკულ ვაზების სანერგეს მმართველს შეუდგენია „მოკლე პრაქტიკული დარიგება ამერიკულ ვაზის კულტურისა ქუთაისის გუბერნიაში“. დარიგება დაუბეჭდიათ რუსულსა და ქართულს ენაზედ შესაფერის სურათებით და არ გაიყიდება იგი, არამედ მუქთად დაურიგდებათ იმათ, ვინც სანერგიდგან ამერიკულს ვაზს იყიდის.

*** განჯის გუბერნიის სამართველოს გამოეცხადა თურმე, რომ ყაზახის მაზრის უფროსის დროებით აღმასრულებელი ს. დ. ბეჟანოვი და სამსახურს გარეშე მყოფი უფროსი იმავე მაზრისა პოლკოვნიკი ბარანოვსკი მთავარ-მართებელმა თ. გ. ს. გოლიცინმა სამართალში მისცა, რადგან ბარანოვსკის ჰბრალდება მითვისება და გაფლანგვა ხაზინისა და ქალაქის ფულისა, ბეჟანოვსკი დაფარვა ამ დანაშაულისა.

*** თელავიდგან ატყობინებენ „ტფ. ფურ-“, რომ წარსული წლების გამოცდილებამ ძალიან არგო ჩვენ მევენახეთ, ეხლა ყველამ გულიანად მოჰკიდა ხელი ვაზის წამლობას. იმოდენასა თხოულობენ გოგირდსა და შაბიამანს, რომ შეუძლებელია ყველას დაკმაყოფილებაო.

*** 4 აპრილს რკინის გზათა დეპარტამენტს, გაზეთების სიტყვით, თათბირი უნდა ჰქონოდა ბათუმიდგან კოპანდიბამდე (ბათუმის ოლქშია) რკინის გზის გაყვანის შესახებ.

*** ყაზახის მაზრის სამმართველოს მდივანი დ. ა. ტერ-კარაპეტოვი, განჯის გუბერნიის სამმართველოს განკარგულებისამებრ სამართალში იქმნა მიცემული და თანამდებობიდგან გადაყენებული. ტერ-კარაპეტოვს ჰბრალდება მითვისება 875 მ. და 80 კ., რომელიც გადუხდია საინტენდანტო მმართველობას 1895 წ. ჯარში გაყვანილთა სადგურების დასაქირავებლად.

*** ეს ორი წელიწადი იქმნება, რაც ავლაბრის წმ. მარინეს ეკკლესიაში ქართული გალობა აღარ გაგვიგია. ამ ორის წლის წინად-კი გალობდნენ ქართულს ენაზედ თომა ასათიანის ლოტბარობით ყოველს უქმე-დღესასწაულში, რითაც დიდად სტკბებოდნენ მსმენელნი და ხშირადაც დადიოდნენ ეკკლესიაში. ახლა-კი, აგერ ორი წელიწადია, ქართული გალობა აღარ გაგვიგონია. ამ დღესასწაულებში შეგროვდნენ ბაზაზის შეგირდები და დაიწყეს ქართული გალობა, მაგრამ იმდენად უცოდინარნი არიან, რომ სრულიად ამახინჯებენ საგალობლებს. ძალიან კარგი იქნება, რომ ამ ეკკლესიის ახლად დანიშნული მოძღვარი, მამა მიხეილ ბერძნიშვილი მოიწადინებდეს მრევლის წყურვილი დაკმაყოფილებასა და უკეთესად მოაწყობდეს ქართულად გალობის საქმეს.

*** 7 აპრილის ღამეს პოლიციის მეათე განყოფილებაში ავჭალის ქუჩაზედ № 105-ში ფეხთ-საცმელის დუქანი გაუტეხეს ასატურა ბეჟანოვს და თითქმის ოცის თუმნის ფეხთ-საცმელი და მასალა ფეხთ-საცმლისა წაიღეს. გამოძიება სწარმოებს, ქურდი ჯერ ვერ უპოვნიათ.

## ქალაქის საბჭო

—

წაკითხულ იქმნა იმ ხმოსანთა სახელი და გვარი, რომელნიც 24 და 31 მარტის კრებას არ დასწრებიან. საბჭომ კანონიერად სცნო მიზეზი იმათის დაუსწრებლობისა.

გამგეობის წევრმა თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკმა ტფილისის საჯარო წიგნთ საცავის დირექტორის წინადადება წაიკითხა—ქალაქმა წიგნთ-საცავის დარბაზში წყალი გამოიყვანოს და ონკანი გააკეთოს, ელექტრონით გაანათოს დარბაზი და აგრეთვე, გარდა იმ 1030 მან., რომელსაც ქალაქი წლიურად იძლევა, კიდევ 800 მან. შემოიტანოსო. სამაგიეროდ ჩვენ შეძლება გვექმნება, კვირა-უქმე დღის გარდა, წიგნთ-საცავი დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ყოველ მუდამ დღე გავაღოთ და მსურველთ წიგნების კითხვის საშუალება მივცეთო.

საბჭომ პირველი წინადადება, ე. ი. ონკანის გაკეთების შესახებ შეიწყნარა, ხოლო დანაშთენ ორის საგნის შესახებ, ქალაქის ღონისძიებათა სიმცირის გამო, უარი განაცხადა. ამასთანავე საბჭომ გამგეობას მიანდო, წიგნთ-საცავის დირექტორს სთხოვოს, რომ, თუ შესაძლო იქმნება, წიგნთ-საცავი ზემო აღნიშნულ საათობით გააღონო.

კრებამ გუბერნატორის წინადადება მოისმინა იმის შესახებ, რომ მე-2 ახალ-მალაკნის ქუჩას შერემეტიევის ქუჩა დაარქვითო და ეს წინადადება ერთ-ხმად შეიწყნარა.

ქალაქის ლომბრადის სარევიზიო

## ფელეტონი

—

### ბუხართან-საუბარი

(ვუძღვნი თ. რაფაელ ერისთავს)

მხიარულად ხარ, ბუხარო,
მეცა შენთანა მოვილხენ;
შენსა ღუდღუდსა, გუზგუზსა
სიამოვნებით მოვისმენ;
მასთანვე ჩემსა გრძნობასა
ჩაკვირვებანი მოიცვენ...
ამად მწადს მოგესაუბრო,
შენ ყურნი სმენად მოიხვენ.

**

შენშიც იბადვის მცირედით
ცეცხლი სარგო და ნელია;
თანდათანობით იზრდება,
ხდება მძაფრი და მწველია,
მძლავრდება, ალსა მაღლა სცემს,
ჰლამის შეიქმნას მსვრელია;
დროთი ჰნელდება, ჩაქრება,
ჰფერფლდება ვითა მტვერია.

**

კაცის ცხოვრებაც ეგრევე
იწყების, ასე მდინარებს,
მას შინა სიჭაბუკის დრო
ვითა ალმასი ჰბრწყინვალებს,
ის ჰშფოთავს, ჰღელავს და იბრძვის,
მას უყვარს, უმღერს, ტრფიალებს...
კაცი რა იმას სცილდება,
მის ჯარაც უკუ ტრიალებს.

**

ბუნების შვილი მეც ვიყავ,
მეცა მიყვარდა, ვტკბებოდი;
ვარდთა და ზამბახთ შვენებას
მეცა ვუმღერდი, ვეტრფოდი;
ვღელავდი თავ-ხედურადა
და ცხოვრებისთვის ვიბრძოდი,
იმედი წინა მიძღოდა
და მით არაფერს ვუკრთოდი.

**

გაფრინდა იგი „მწყაზარი“
დრო, სიყმაწვილის დარგია,
თან წარიტაცა ჩემგან, რაც
„პირველია და კარგია“!..
რას არ გავიღებ, ოღონდ-კი
ვპოო ის... დანაკარგია.
მაგრამ მრწამს ველარ ვეწევი,
წუხილი რაღას მარგია!..

**

შენ-ღა მშთენიხარ, ბუხარო,
გაძრცვნილის გულის შემთბობი,
გვერდსა გიზივარ, შეგყურებ
ვით საყვარლისა შემტრფობი;
გისმენ გუგუნსა სიამით
და გულის ნაგრძნობს გენდობი,
მაგონებ ჩემთა წარსულთა,
ვფიქრობ... და მითი ვერთობი.

თ. ნ. ვეზირიშვილი

## ცხოვრება და ხელოვნება

### IX

### ერთი საგანი ზნეობისა

(ვუძღვნი თ—ს)

ბ-ნ არაგვისპირელის ეტიუდმა, „მოამბის“ III ნომერში დაბეჭდილმა, წინ წამოაყენა ერთი საგანი ზნეობისა, რომელზედაც ჩვენ გვინდა მოვილაპარაკოთ.

ამ ეტიუდში ავტორს გაკვრითა აქვს აწერილი სულის მდგომარეობა ერთის გონიერისა და სინიდისიანის ყმაწვილის კაცისა, რომელსაც რაღაც დანაშაული ჩაუდენია და საზოგადოებას დანაშაულისათვის განუდევნია. საზოგადოების სასტიკს ქცევას იგი ისე აღუშფოთებია და აუღელვებია, რომ თავის მოკვლაც-კი განუზრახავს, მაგრამ ბოლოს მაინც გამწარებული და გაშხამებული ცხოვრება უმჯობინებია მხდალად ცხოვრების ბრძოლის ველის მიტოვებასა და ამ სიტყვებით ისევ ურიგდება ცხოვრებას: „დამნაშავე ვარ და ამისათვის, რა სასტიკი სასჯელიც უნდა იყოს, მოვალე ვარ ავიტანო და არა ვცდილობდე ამის თავიდგან აცილებას... ამისთვის ღირსი ვარ სასჯელისა. დეე, მაფურთხოს საზოგადოებამ, მიყიჟინოს საზოგადოებამ!.. ღირსი ვარ!.. მე უკანვე დავბრუნდები!.. უკანვე დავუბრუნდები იმავე საზოგადოებას... რომ ყოველ ნაბიჯზედ მაფურთხოს, მიყიჟინოს ამ საზოგადოებამ. ღირსი ვარ ამისა, ღირსი!..“

ყმაწვილი კაცი იტანჯება ჯერ იმიტომ, რომ დანაშაული ჩაიდინა და მერე იმიტომ, რომ ამ დანაშაულისათვის სასჯელი მიიღო. რაც უნდა დარწმუნებული იყოს კაცი, რომ სასჯელი ღირსეულია, მაინც მწარეა სასჯელი და შემაწუხებელი. ხოლო თუ ჰგრძნობ, რომ შენი დანაშაული სხვის დანაშაულზედ უმძიმესი არ არის და შენ-კი ყველაზედ უფრო სასტიკად დაგსაჯეს, ერთი ორად იზრდება შენის ტანჯვის სიმწვავე. კიდევ უფრო გიძნელდება სასჯელი, ერთი ორად და ერთი ასად უფრო აღშფოთებული ხარ, ათასჯერ უფრო გულ-მოწყლული, თუ შენს ჯალათ-მოსამართლეს შენზედ უფრო ბევრი და უფრო საზიზღარი ცოდვა ჩაუდენია. ჰფიქრობ, როგორ, ამან, ამ ავაზაკმა, ამ იუდას თანასწორმა უნდა განმასამართლოს მე და დამასვას შემარცხვენელი დაღი დამნაშავისა, მე, რომელიც, მაგასთან შედარებით, წმიდანი ვარ, მე, რომელსაც უფრო მეკუთვნოდა თითონ ეგ განმესამართლებინა?

ეხლანდელის საზოგადოების ცხოვრება იმ გვარად არის მოწყობილი, რომ ყოველი სინიდისიერი კაცი უმაღლესს ტანჯვას იტანს თავისის დანაშაულის გამო. დღემდის ვერც თვით ცხოვრებას, ვერც ცხოვრების მმართველ აზრსა და გონებას ვერ გამოურკვევია, ვერ დაუკანონებია და ვერ მოუწყვია რიგიანად საზოგადოებისა და კერძო ადამიანის დამოკიდებულება. ვერც ფილოსოფიას და ვერც ეტიკას ვერ გამოუთქვამს თავისი გადაჭრილი სიტყვა იმის შესახებ, საზოგადოება უნდა იყოს კერძო ადამიანისათვის, თუ კერძო ადამიანი საზოგადოებისათვის; ვერ განუსაზღვრავს, სად იწყება საზოგადოების უფლება კერძო ადამიანის შესახებ და სად თავდება იგი; ვერ დაუდვია საზღვარი კერძო ადამიანის—ინდივიდუუმისა და საზოგადოების მოქმედების ასპარეზთა შორის. ამიტომაც არ არის გარკვეული და უტყუარი, მტკიცე საფუძველზედ აღგებული უმთავრესი საგანი ეტიკისა, ზნეობრივის მეცნიერებისა, გინდ ფილოსოფიისა, ზნეობრივი პასუხის-გება ზნეობრივის მოვალეობის დარღვევის გამო.

კომისიის წევრებად ტერ-ასატუროვი, მელიქოვი და წურინოვი იქმნენ არჩეულნი.

თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკმა კომისიის მოხსენება წაიკითხა საბჭოს დრო-გამოშვებითი („იზვესტია ტიფლისკოი გარადსკოი დუმი") გამოცემის შესახ. კომისიის აზრით, „იზვესტიები" ორს კვირაში ერთხელ უნდა გამოდიოდეს და შიგ უნდა იბეჭდებოდეს: გამგეობისა და საბჭოს დადგენილებანი, სხვა-და-სხვა მოხსენებანი, საბჭოს კრებათა ანგარიში, განცხადებანი და ქალაქის თვით-მართველობაზედ გავრცელებულ ხმების შესახებ შენიშვნები, განმარტებანი და საპასუხო წერილები. „იზვესტიების" წლიური ფასი 5 მან. უნდა იქმნეს და მის პასუხის მგებელი რედაქტორი ქალაქის მოურავი იქმნება.

საბჭომ მოხსენება შეიწყნარა და გამგეობას დაავალა, —მთავრობის წინაშე იშუამდგომლოს და აიღოს ამ გამოცემისათვის საჭირო ნება-რთვა. ხოლო „იზვესტიების" წლიური ფასად აღებული იქმნას ქალაქის მცხოვრებთათვის 3 მან. და ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—4 მან.

გამგეობის წევრმა თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკმა სამოსწავლო კომისიის მოხსენება წაიკითხა ტფილისში საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დაარსების შესახებ და გამგეობის აზრი ამავე საგნის შესახებ.

საქმე ის არის, რომ მთავრობას ზემოაღნიშნულ სახის სასწავლებლის დაარსება განუზრახავს ტფილისში და ქალაქის თვითმართველობისათვის წინადადება მიუცია, რომ ამ სასწავლებლის შენახვისთვის დაგვეხმაროთ. სამოსწავლო კომისიასა და გამგეობას საჭიროდ უცვნიათ, ხსენებულ სასწავლებელს ქალაქმა 200 დღიური მიწა დაუთმოს და ყოველ წლობით სამასი თუმანი აძლიოს.

ხმ. ა. ს. ზაზოვი. სასურველია ვიშუამდგომლოთ, რომ ხსენებულ სასწავლებელში მოსწავლეთ სასოფლო სამეურნეო უბრალო იარაღების კეთებაც ასწავლონ; ხოლო რთული იარაღები, რომლის კეთებასაც მოსწავლენი ვერ ისწავლიან, იმდენად გაიცნონ, რომ მათი მოხმარება დაუბრკოლებლად შეეძლოთ.

ხმ. ოჯახინოვი. ბ-ნ ზაზოვის წინადადება სასწავლებლის პროგრამას შეეხება. თუ პროგრამის შესახებ დავიწყებთ ლაპარაკს, ჩემის აზრით, ბევრი რამ ითქმის: მაგალითად, ადგილობრივ ენების შესახ და სხ., მხოლოდ საქმე ის არის, რომ ჩვენს აზრს სახეში მიიღებენ, თუ არა; ქალაქს ამ მხრივ დაეკითხებიან რასმეს, თუ არა?

ხმ. თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკი. მე იმ აზრისა ვარ, რომ მთავრობის წინადადება და გამგეობის აზრი შეუცვლელად მივიღოთ. პროგრამის შესახებ საბჭომ არ უნდა ასტეხოს ლაპარაკი. რადგან ეხლა საშუალო სასწავლებელი არსდება ტფილისში, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო ხანად მთავრობა უმაღლეს სასწავლებელსაც დაგვიარსებს, რის შესახებაც მთავრობის წინაშე ვშუამდგომლობდით და რისთვისაც ფულებიც აქვს ქალაქს გადადებული. მხოლოდ საჭიროდ ვრაცხ, გამგეობამ მთავრობის წინაშე კვლავ აღძრას შუამდგომლობა და მოაგონოს, რომ ტფილისს უმაღლეს სასწავლებლის დაარსების იმედი არ დაუკარგავს და ის ასი ათასი მანეთი და საქალაქო მამული, რომელიც იმისთვისა ჰქონდა გადადებული, ამ ჟამადაც მზად აქვსო.

ხმოსანი თამამშევი თავადს არღუთინსკის დაეთანხმა და ამასთანავე ის აზრი გამოსთქვა, რომ პროგრამის შესახებ გამგეობამ იზრუნოსო.

ხმ. კარაპეტოვი. სასოფლო სამეურნეო სასწავლებელში თუ სახელოსნო განყოფილებაც იქმნა, ეს იმდენს სარგებლობას ვერ მოიტანს, რამდენადაც დააბრკოლებს მოსწავლეებს. სამეურნეო იარაღების კეთებას მოსწავლეები იმდენად ვერ შეისწავლიან, რომ ცხოვრებაში გამოიყენონ. თუ სამეურნეო იარაღს რომელიმე ნაწილი გაუფუჭდა, ანუ გატყდა, სოფლის დახელოვნებული მჭედელი უკეთ გააკეთებს, ვიდრე ჩვენს სასწავლებელში სწავლა დამთავრებული. სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში სპეციალური საგნები უნდა შეისწავლონ, და ამ საგანთა რიცხვში სამეურნეო იარაღების საფუძვლიანად შესწავლაც შედის. ხოლო ამ იარაღების კეთება-კი სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის საქმე არ არის.

საბჭომ ხმის უმეტესობით დაადგინა: დაეთმოს ხსენებულ სასწავლებელს 200 დღიური მიწა და წლიურად 3,000 მან. ეძლიოს. მაგრამ გამოითქვას სურვილი, რომ სასწავლებლის პროგრამა ადგილობრივ მოთხოვნილებათა კვალობაზედ იქმნას შედგენილი. ამასთანავე მთავრობის წინაშე შუამდგომლობა იქმნას აღძრული ტფილისში უმაღლესის სასწავლებლის დაარსების შესახებ, რომელსაც 200 დესეტინა მიწას დაუთმობს ქალაქი და ამ თავითვე 100,000 მან. მისცემსო.

წაკითხულ იქმნა გრიგოლ ბაქანოვის თხოვნა იმის შესახებ, რომ ჩემზედ დარჩენილ მამულის დაფასების ბაჟიდგან განმათავისუფლეთო.

როგორც აღმოჩნდა, ბ-ნ ბაქანოვზედ 1883 წ. მოყოლებული დღევანდლამდის ოც-და-ათ თუმანზედ მეტი ყოფილა დარჩენილი. ამასთანავე 1883 წ. ბაქანოვის მამულს 22 მან. 50 კაპ. ჰქონია შეწერილი, ხოლო 1886 წ.—7 მან.

რამდენიმე ხმოსანმა ის აზრი გამოსთქვა, რომ რადგან ბ-ნ ბაქანოვის მამული იმ თავით ასე ძვირად ყოფილა დაფასებული, ცხადია, ქალაქის დამფასებლები შემცდარან, აქ მამულის პატრონი დამნაშავე არ არის და ამიტომ ეხლანდელი მისი თხოვნა საბჭომ უნდა შეიწყნაროსო.

გამგეობის წევრი ბ-ნი ხოსროევი. არავისათვის საიდუმლო არ არის, რომ ქალაქის მამულები ზოგი დიდად არის დაფასებული და ზოგიც—მეტად მცირედ. თუ საბჭომ ბ ნ ბაქანოვის თხოვნა შეიწყნარა, ეს ბევრს საბუთს მისცემს, რომ ასეთისავე თხოვნით მოგვმართონ.

საბჭომ დაადგინა ბ ნ ბაქანოვს 1883 წ. 7 მან. ანგარიშის კვალობაზედ გარდახდეს ყოველ-წლიური დასაფასებელი გარდასახადი, ხოლო დანარჩენი-კი ეპატიოსო.

დასასრულ საბჭოს ბ-ნ ვასილ ხანდამოვის თხოვნა მოხსენდა. ბ-ნი ხანდამოვი თხოულობს, რომ მნაცაკანოვის ხიდის შემოსავალი იჯარით ავიღე იმ იმედით, რომ ასე მეგონა რაიმე სარგებლობა მექმნებოდაო. მაგრამ, როგორც შემდეგ გავიგე, ცხვრის პატრონებს თავიანთი ცხვარი, როცა თრიალეთისკენ ერეკებიან, ახალ გაკეთებული სალდლუღის რკინის ხიდზედ გადაჰყავთ და მე ერთობ მცირე შემოსავალი მრჩება მნაცაკანოვის ხიდიდგანო. ამიტომ ამ იჯარისაგან ხელს ვიღებ, პირობის წერილზედ ხელს ვერ მოვაწერ და ჩემიერ ბედ წარმოდგენილი 500 მან. ნახევარი უკანვე დამიბრუნეთ, ხოლო ნახევარი ქალაქის სასარგებლოდ დარჩესო.

საბჭომ ხანდამოვის თხოვნა არ შეიწყნარა.

## ქუთათურ მშობლების საყურადღებოდ.

ამ წლის პირველ ივლისიდგან ქუთაისის პროგიმნაზია რეალურ სასწავლებლად გარდაიქმნება. პირველ სექტემბერს დაიწყებს მოქმედებას ამ სასწავლებლის მოსამზადებელი, პირველი და მეორე კლასები.

ამ ამბავმა ზემო აღნიშნულ კლასების მოსწავლეების ზოგიერთი მშობლები დიდ საგონებელს მისცა. არ იციან, როგორ მოიქცნენ—მისცენ თავისი შვილები რეალურ სასწავლებელში, თუ უცადონ, როდის ეღირსებათ და გაიხსნება—თუ გაიხსნა—ორიოდე ვაკანსია ქუთაისის გიმნაზიის დაბალ კლასებში. საგონებელს მიეცნენ უფრო იმიტომ, რომ არ იციან, რა უფლებებს იძლევა რეალური სასწავლებელი, და ჰშიშობენ შრომამა და ხარჯმა ამაოდ არ ჩაგვიაროსო.

არ უნდა იყოს ურიგო, რომ ესეთს გამოურკვეველს მდგომარეობაში მყოფ მშობლებს მივაწოდოთ ზოგიერთი ცნობა ქუთაისის რეალურ სასწავლებლის შესახებ. აი ეს ცნობები:

ა) უფლებებს რეალური სასწავლებელიც ისეთსავე იძლევა, როგორსაც გიმნაზია. არ იძლევა უნივერსიტეტში შესვლის უფლებას, მაგრამ, სამაგიეროდ, ანიჭებს უფლებას რამდენსამე უმაღლესს სასწავლებელში შესვლისას. აქ სწავლა-დამთავრებულები წაგებით არას წააგებენ.

ბ) რადგან პირველ ივლისიდგან იკეტება პროგიმნაზიის მოსამზადებელი, პირველი და მეორე კლასები, რათა ამ კლასების მოსწავლენი მშრალზედ არ დარჩნენ, იმათმა მშობლებმა ეხლავე უნდა განუცხადონ ინსპექტორს რეალურ სასწავლებელში სტოვებენ შვილებს, თუ გიმნაზიაში უპირებენ გადაყვანას.

გ) პროგიმნაზიის პირველისა და მეორე კლასის მოსწავლეების ის მშობლები, რომელნიც ისურვებენ თვისის შვილების რეალურ სასწავლებელში დატოვებას, თითონ უნდა მიბრძანდენ პროგიმნაზიაში, რათა შეიტყონ ის პირობანი, რომელთ აღსრულება აუცილებლად საჭიროა, რომ იმათი შვილები გადაყვანილ იქმნენ რეალურ სასწავლებლის მეორე კლასში, ან დატოვებულნი იმავე კლასში.

დ) ამ სასწავლებელს პანსიონი ექმნება. მშობლებს ეხლავე შეუძლიანთ ითხოვონ, რომ იმათი შვილები ჩარიცხულ იქმნენ ამ პანსიონის კანდიდატებად.

---

წარმოვიდგინოთ, რომ კერძო კაცმა დანაშაული ჩაიდინა, საზოგადოების წეს-რიგი დაარღვია—საზოგადოებას აქვს თუ არა უფლება ამ დანაშაულისათვის დასაჯოს, „განიკითხოს" ინდივიდუუმი. აქვს თუ არა ნება უკიდურესს შემთხვევაში განაძევოს და განდევნოს იგი, მოიკვეთოს როგორც სხეულის მავნე ნაწილი?

ამის შესახებ, რასაკვირველია, მარტო „ჰო"-ს თქმა შეიძლება.

როგორი ახსნაც უნდა მივიღოთ საზოგადოების წარმოებისა, ორგანიული თუ კონტრაქტული, მაინც მავნე წევრი საზოგადოებისა უნდა დაისაჯოს, იმიტომაც რომ შესცოდა და იმ აზრითაც, რომ თვით მას და სხვასაც მაგალითად დაედვას, ყოველივე შემცოდე დაისჯებაო.

არ შეიძლება უამისოდ საზოგადოების არსების დაცვა. თუ საზოგადოება ორგანიზმია, როგორც სპენსერი ჰფიქრობს, თუ მისი დაბადება, აღზრდა, მოხუცება და გარდაცვლა, თუ მისი განვითარების სვლა იმავე კანონებს ექვემდებარება, როგორსაც ორგანიზმი, სჩანს იმასაცა სჭირია თავის შენახვა, თავის დაფარვა, როგორც ყოველს ცოცხალს ორგანიზმს. თუ საზოგადოება სხეულია, წევრი ამ სხეულის ნაწილია. თუ სხეულის ნაწილი ავად არის, საჭიროა მისი ექიმობა, თუ იგი ნაწილი განიხრწნა საჭიროა მოკვეთა, რომ სხვა ნაწილებს სხეულისას ზიანი არ მისცეს.

მაგრამ ერთი არ უნდა დავივიწყოთ, ორგანიზმის ნაწილი უსულოა დ უგუნური, ხოლო საზოგადოების წევრი სულიერი და გონიერი არსებაა და როგორც ამისთანას, სხვანაირად უნდა მოვექცეთ. ამიტომაც სჯის საზოგადოება დამნაშავე წევრს არა მარტო იმ აზრით, რომ სხვა წევრებს არაფერი ზიანი მიეცეს მისგან, არამედ იმიტომაც, რომ თვით დამნაშავე გასწორდეს, თვით დამნაშავე გაადამიანდეს და განახლების—გარდაბადების გზას დაადგეს.

თუ საზოგადოება შესდგა მხოლოდ ხელ-შეკრულობის ძალით, როგორც ჟან-ჟაკ რუსსო ამბობდა, მაშინ კიდევ უფრო დიდი საფუძველი ეძლევა ამ უფლებას დასჯისას.

ყოველსავე დაწესებულებას, ყოველსავე წოდებას, ყოველს ოჯახს, თითქმის, თავისი წესი აქვს. ვისაცა ჰსურს ამა თუ იმ დაწესებულების წევრობა, ან უნდა ასრულოს ამა თუ იმ წესდების მუხლები და ან უარი სთქვას ამ დაწესებულების წევრობაზედ. თუ კი ერმა შეადგინა სახელმწიფო, თუ კი ერმა დაუწერელი, მაგრამ მტკიცე პირობა და კავშირი შეჰკრა ერთად ცხოვრებისა და ერთად მოღვაწეობისა ცხოვრებაში და დაადგინა წეს-რიგი, ყოველივე წევრი, რომელსაც თანხმობა განუცხადებია ამ წესისა და რიგის დაცვისა, მოვალეა ან შეასრულოს იგი და ან საზოგადოებას განშორდეს.

ჩვენ არ შეგვიძლიან, არა ვსთქვათ, რომ ორივე ეს თეორია უსრულია და ცალ-მხრივი. არ შეიძლება საზოგადოება მივიღოთ ორგანიზმად, რადგან მისი წევრი სულიერი არსებაა და ეგ თვისება ადამიანისა შეუძლებლადა ჰხდის საზოგადოების ცხოვრება ისეთსავე კანონებს დაუმორჩილოს, როგორსაც ექვემდებარება პირუტყვთა ცხოვრება. არც ის შეიძლება ვთქვათ, რომ საზოგადოება იყოს წარმოშობილი მხოლოდ წევრთა ნება-ყოფლობისაგან. არ შეიძლება, რადგან ყოველივე მოქმედება ნებისა ნებითავე დაირღვევა, ყოველივე პირობა დაირღვევა, ხოლო ის დაუწერელი, კიდევ ვიმეორებთ, პირობა-კი, რომელიც ქვა-კუთხედად უდევს საზოგადოებას, ის პირობა არ არის ყოველის კერძო ადამიანის ნებაზედ დამოკიდებული. ის კიდევ არაფერი, რომ ერთს კაცს, ორს, უმცირესს ნაწილს საზოგადოებისას არ შეუძლიან დაარღვიოს საზოგადოების ხელ-შეკრულობა, არც შეუძლია თავი დაახწიოს ამ პირობით ნაკისრს მოვალეობასა, არ შეუძლიან განითავისუფლოს თავი ამ კავშირისაგანაც. მაშასადამე, თუ საზოგადოების წარმოება ხელ-შეკრულობაზედ არის დამყარებული, სჩანს, რომ ეს ხელშეკრულობა, ეს პირობა სხვაგვარია, თავისებური და არ წააგავს იმ ხელშეკრულობათ, იმ პირობის წერილებს, რომელიც იცის იურიდიულმა მეცნიერებამა. სიმართლესთან უფრო ახლოს არის და, ყოველს შემთხვევაში, ორიგინალურია თეორია ფრანგ ფილოსოფოსის ალფრედ ფულიესი *). იგი ამბობს, რომ ეს ორი თეორია ცალკ-ცალკე აღნიშნავს საზოგადოების განვითარების სხვა-და-სხვა ხანასაო. რამდენადაც უფრო შორიდგან დავიწყებთ საზოგადოესის სტრუქტურის, აგებულების, შესწავლას, იმდენად უფრო მართლდება ორგანიული თეორია, რადგან საზოგადოების დასაწყისი, მისი შთანასახი ორგანიზმისებური იყო და იმავე კანონებს ექვემდებარებოდაო. ხოლო რამდენად უფრო აქეთ გამოვიწევთ, ჩვენს დროს დავუახლოვდებით და ამ დროის საზოგადოებას შევისწავლით, იმდენად უფრო მართლდება კონტრაქტული თეორია. ეს შესწავლა გვაჩვენებს, რომ საზოგადოება თანდათან სტოვებს ფატალურს კანონებს ორგანიზმისას, აღარ ემორჩილება ამ კანონებს, არამედ მისდევს უფრო თავისუფალს წეს-რიგს პირობისას. უწინდელი ბარბაროსული წეს-წყობილება საზოგადოებისა მართლა რომ ორგანიზმის შესაფერია, ხოლო ეხლანდელი თავისუფალი პარლამენტური წყობილება-კი სწორედ პირობის დაგვარია, არ გინდა დაემორჩილო ამ წყობილებას, მშვიდობით ბრძანდებოდეთ; უწინ-კი დესპოტიურის წყობილების დროს თუ გაბედავდით და განაცხადებდით უკმაყოფილებას საზოგადოების წეს-რიგის გამო, სიცოცხლეს გამოგათხოვებდნენ, ცოცხალს აღარ დაგტოვებდნენ.

ამ რიგად, ფულიეს აზრით, საზოგადოების განვითარება იმ გზას ადგია, რომელიც სულ თანდათან აშორებს ორგანიზმის ხასიათს და აახლოვებს კონტრაქტულ დაწესებულებასთან. დღევანდელი ევროპის კონსტიტუციის სახელმწიფოები არიან ამისი დამამტკიცებელნი. იქ, ყოველივე კანონი, ყოველივე მუხლი ამ კანონისა საზოგადო ბჭობისა და გარდაწყვეტილების შექმნილია და არა ერთი კაცისა ანუ ერთის რომელისამე ჯგუფის ძალ-მომრეობისა.

კიტა აბაშიძე

(დასასრული იქნება)

*) Alf, Fouillèe, La science sociale contemporaine.

ე) იმ მშობლებს, რომელთა შვილებიც ქუთაისის გიმნაზიის პანსიონის კანდიდატებად არიან ჩარიცხულნი, უკეთუ ისურვებენ თავისის შვილების რეალურ სასწავლებელში გადაყვანას,—ნება აქვსთ ეხლავ მოითხოვონ, რომ გიმნაზიის კანდიდატურა რეალურ სასწავლებელში იქმნას გადატანილი.

დავით ჩიმაკაძე.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**დ. ზუგდიდი,** 4 აპრილი. მკითხველებს მოეხსენებათ, რომ სამინისტრომ წელს ნება დართო ქუთაისის გუბერნიის ყველა სამოქალაქო სასწავლებლებში გაემართონ სახალხო წიგნთსაცავი და ამასთანავე სახალხო კითხვები. ეჭვი არ არის, რომ ეს განკარგულება ყველასათვის, ვისაც ხალხის განვითარება მჭვარში გასახვევ ამბად არ მიაჩნია, სასიამოვნო უნდა ყოფილიყო. ეხლა მხოლოდ საფიქრებელი ის არის, თუ რა გზას დაადგება ახლად შემოღებული სამკითხველოები.

ამ ახალის საქმის წესიერად მოწყობას უნდა ეცადოს შეძლებისა დაგვარად ყველა, ვისაც-კი ჭეშმარიტად შეუგნია როგორც კერძო ადამიანის, აგრეთვე მთელის საზოგადოების გონებრივი ზრდა-განვითარება.

არ ვიცი რა გვარად მწყობა, ანუ მოეწყო ამ კითხვების საქმე სხვა სასწავლებლებში, ხოლო რაც შეეხება ზუგდიდის სასწავლებელს, უნდა ვთქვა, რომ სახალხო კითხვების საქმე აქ, ჩვენის სასწავლებლის გონიერ ზედამხედველის წყალობით, ისეა მოწყობილი, რომ მთელის გუბერნიის სასწავლებლებისათვის სამაგალითოდ უნდა შეიქმნას.

რადგანაც ზუგდიდში ყველამ კარგად იცის ქართული, ამიტომ აქ სახალხო კითხვა დაიწყო რუსულსა და ქართულს ენებზედ. (ერთხელ მეგრულადაც უამბეს ხალხს აბრეშუმის ჭიის მოვლის შესახებ ცნობები) ქართულად კითხულობენ მასწავლებლები; რუსულად—იმათ გარდა მოსწავლეებიც. კითხვასთან ზუნდოვანს სურათებსაც უჩვენებენ. ქართულად, სხვათა შორის, წაუკითხეს: „როგორა სცხოვრობენ ჩინელები“, კრილოვის რამდენიმე არაკი, „ჭკვა-აზრკი“ და სხ. უამბეს, შავის ჭირისა, ნახშირ-მჟავისა და სხვათა შესახებ. საზოგადოება სიამოვნებით ესწრება ამ კითხვებს და ძალიან მადლიერია, რომ სხვათა შორის გასაგებს ენებზედ უამბობენ და უკითხავენ.

ზუგდიდში წერა-კითხვის სურვილი დიდია, ქართულის წიგნის კითხვის მადა გახსნილია, მაგრამ წიგნი კი წამლად არ მოიპოვება, თუ ახპატელოვის ზოგიერთს გამოცემას და სახელმძღვანელოებს არ ჩავთვლით. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც მოიწადინა სასწავლებელმა და მისმა უფროსმა. ამ განზრახვით, როგორც ნამდვილად გავიგეთ, გამოუწერიათ ყველა ის ქართული წიგნი, რომელიც-კი სასწავლებლებისათვის არის მოწონებული სამინისტროს ანუ აქაურ სამოსწავლო ოლქის მზრუნველის-მიერ. არ შეგვიძლიან მხოლოდ მწუხარებით არ აღვნიშნოთ, რომ ამ გვარ ქართულ წიგნების რიცხვი ძალიან მცირეა...

რაკი სახალხო კითხვებზედ ჩამოვაგდე ლაპარაკი, არ შემიძლიან ორიოდე სიტყვა აქაურ ნოქრების შესახებაც არა ვთქვა.

ჩვენის დაბის სივრცესთან შედარებით იმათი რიცხვი ძალიან დიდია, კითხვებს-კი ცოტანი ესწრობიან, რადგანაც კითხვის დროს დუქნებში არიან დაყუდებულნი და ბუზებსა სთვლიან.

რადგანაც ეს კითხვები იმართება კვირა დღეობით, სასურველია, რომ კვირა სადამოობით განათავისუფლონ ნოქრები, რათა კვირაში ერთი-ორი საათი დრო მაინც მოახმარონ თავიანთის გონების განვითარებას.

X—ი

**გუდამაყარი,** 3 აპრილი. გუდამაყარი საქართველოს ერთი იმ კუთხეთაგანია, რომლისთვისაც ჯერ ნათლის სხივს არ დაუკრავს და თვალები არ აუხელინებია, რომელიც ჯერ ისევ სიბნელით მოცულია და არც ვინმე გულშემატკივარი ჰყავს ამ მიყრუებულს კუთხეს ისეთი, რომ თვალები აუხილოს და დაანახვოს ნათელი.

წარსულს 1896 წელს ამ ხეობას ეწვია კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სასწავლებლების ინსპექტორი მ. ლეონიდი, რომელმაც თავისის მჭევრმეტყველის ქადაგებით შეაგონა და დაანახვა ხალხს სასწავლებლის საჭიროება და სარგებლობა. ხალხმაც სიამოვნებით მოისმინა კეთილი ქადაგება, გამოაცხადა სურვილი და საქმედაც გარდააქცია. ამავე წელიწადს ააშენა სასწავლებლისათვის სახლი და უკანასკნელი გროში არ დაიშურა ამ კეთილის და სასარგებლო საქმისთვის. როცა იგი მზად იყო მ. ლეონიდს სთხოვა ხალხმა დაპირებისამებრ მასწავლებელი დაენიშნა თავისის ხარჯით ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას. მაგრამ სამწუხაროდ, რაღაც უცნაურის მიზეზის გამო ჯერაც არ ჰღირსებია გუდამაყარს სასწავლებელი და ამ სახით ხალხი სასოწარკვეთილებას მიეცა.

დიდს მადლსა და სიკეთეს იზამდნენ ეს მადლიანი საზოგადოება და ის კერძო კაცნიც, რომელნიც ყოველს კეთილს საქმეს ხელს უწყობენ და საქველ მოქმედო საქმისათვის შეძლების დაგვარად არ იშურებენ შემწეობას, რომ ამ საქმისთვისაც ხელი შეეწყოთ. ვიდრე სიტყვა საქმეზედ არის მისული და მ. ლეონიდის ქადაგებაც ხალხის გულში ჯერ ისევ თბილად ინახება, არ გაციებულა, არ გამქრალა, თორემ მერე გვიან-ღა იქნება და დარჩება ეს უბედური ხეობა ისევ იმ სიბნელით მოცული, როგორშიაც დღეს იმყოფება.

გ. დ.

**სოფ. ზემო-მაჩხაანი,** (სიღნაღის მაზრა), 24 მარტი. 21 თებერვალს აქ ჩამოვიდა სიღნაღის მაზრის საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლების მეთვალყურისაგან გამოგზავნილი მთავარ დიაკვანი მ. ი. მენთეშაშვილი იმის შესატყობლად, ჰსურთ თუ არა ზემო-მაჩხაანის მცხოვრებლებს იმათ სოფელში ორ კლასიან საეკლესიო-სამრევლო სკოლის დაარსება ზოგიერთ პირობების აღსრულებით. იანვრის ნახევარ რიცხვებში აქ იყო თვით მაზრის მეთვალყურე მ. ი. მირიანაშვილი, ხალხს აუწყა ის პირობანი, რომელიც იმას უნდა აესრულებინა ამ სკოლის სურვილის გამოცხადებისათანავე, და ნათლად დაუხატა სოფლელებს სასწავლებლის სარგებლობა. ხალხმაც ერთხმად თანხმობა გამოაცხადა, ისე, რომ იმ დღესვე განაჩენზედ ხელის მომწერი ორასზედ მეტი აღმოჩნდა (საჭირო-კი 350 ხელის-მომწერი იყო).

მეთვალყურის წასვლის შემდეგ ამ საქმის მეთაურობა იკისრა ბლაღოჩინმა მ. კირილე ღვთისავრიშვილმა, რომელიც დადიოდა კარის-კარ და ყველას არიგებდა და უჩიჩინებდა: „სკოლა კარგია“, „სკოლა სასარგებლოაო“ და სხ. საქმე მაინც წინ ვერ მიდიოდა, ასე რომ განაჩენს ერთი ხელის მომწერიც აღარ მიემატებია. ხალხში-კი შიგ და შიგ გაისმოდა სკოლის წინააღმდეგი ხმები,—„ახლა სკოლის ხარჯი მოგვემატოს ისედაც ყოველ მხრივ გადატვირთულ ხალხსაო“, „ვისაც შვილის სწავლება უნდა, სხვაგან გაგზავნოსო“- ხალხმა ისიც გაიგო, რომ მ. კირილეს ამ სასწავლებელში ჯამაგირი ექმნებაო და ამიტომაც არის ესე „თავ-გადაკლულიო“, და ამის შემდეგ უფრო უარი განაცხადა. ისე, რომ ისინიც-კი, რომელთაც განაჩენზედ ხელი ეწერათ, უარს აცხადებდნენ და თხოულობდნენ, რომ ამოეშალათ იმათი გვარი და სახელი. ასე და ამ გვარად საქმის ჯეროვანად არ წაყვანა იყო უმთავრესი მიზეზი, რომ ზემო მაჩხაანის საზოგადოებამ, ჯერ გულით მოწადინებულმა შემდეგში უარჰყო—არ მინდა სასწავლებელიო.

ამ მდგომარეობაში იყო ორ-კლასიან საეკლესიო-სამრევლო სკოლის დაარსების საქმე, რომ ჩამოვიდა მ. ი. მენთეშაშვილი, რომელმაც მიიღო განაჩენის პირი, შემოწმებული სოფლის მამასახლისისაგან ხალხის სურვილისამებრ, ე. ი. იმ აზრით, როგორც ზემოდ იყო ნაჩვენები. ხალხმაც შეიტყო თუ არა რისთვისაც ჩამოსულიყო იგი, უარსა ჰყვიროდა. ამ შემთხვევაში უფრო მომეტებული წინააღმდეგობა გამოიჩინეს ზენაშვილებმა; ზენაანთ მანდილოსნებიც-კი ჰყვიროდნენ, რომ „არ გვინდა სკოლა, ისედაც გადატვირთულნი ვართო“.

ასე და ამ გვარად ორ-კლასიან საეკლესიო-სამრევლო სკოლის სვემ სოფ. ზემო-მაჩხაანში ჩაილურის წყალი დალია, თუმცა-კი დიდად სასურველი და სანატრელი იყო, რომ დაარსებულიყო იგი, რადგანაც ის ადგილი (წმ. გიორგის პირველ ეკლესიის მოედანი), სადაც განზრახული ჰქონდათ ამ სკოლის აშენება, ორ-სოფლის (ზემო და ქვემო მაჩხაანის) შუაგულს შეადგენს და სკოლით ქვემო მაჩხაანელებსაც შეეძლოთ სარგებლათ.

თუმცა მართალია, ამ სკოლის დაარსებისათვის საჭირო პირობათა აღსრულება მარტო ზემო-მაჩხაანსაც არ გაუძნელდებოდა, რადგანაც ეს სოფელი უფრო შეძლებულია სიღნაღის მაზრის სხვა სოფლებთან შედარებით და აქ მოიპოვებიან მთელს ქიზიყში სიმდიდრითა და კარგის ცხოვრებით განთქმულნი ოჯახიშვილები, მაგრამ რადგანაც ამ სკოლით სარგებლობა ქვემო-მაჩხაანელებსაც შეეძლოთ, ამიტომ ტვირთის გასაადვილებლად სასურველი იქნებოდა, რომ სკოლის ხარჯში ქვემო-მაჩხაანსაც მიეღო მონაწილეობა.

ზემოური

## რუსეთი

მთავრობას განზრახვა აქვს პეტერბურგში დააარსოს უმაღლესი საბეითალო ინსტიტუტი.

— პეტერბურგის მცხოვრებ ქველმოქმედ ქალებს განზრახვა აქვთ ამ ქალაქის მახლობლად გამართონ თავ-შესაფარი ძუძუთა ბავშვებისათვის. თავ-შესაფარში მიიღებენ მხოლოდ ისეთს ბავშვს, რომელიც ან ობოლია ან დედას არ შეუძლიან თითონ აწოვოს ძუძუ.

— იალტას ნავთ-სადგურის ელექტრონით განათებისათვის გზათა სამინისტროს უკვე გადაუდვია საჭირო ფული. ამბობენ, მთელი ეს ქალაქიც ელექტრონით უნდა გაანათონო.

— რუსეთში მხოლოდ ეხლა დაიწყეს ლაპარაკი, სწავლა-განათლება საყოველთაო და სავალდებულო უნდა იყოსო. რუსეთის განაპირას-კი, ეგრეთ წოდებულ „სემირეჩინსკის“ ოლქში, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობას რუსი ყაზახები შეადგენენ წერა-კითხვა უკვე სავალდებულოა თურმე და ვერც ერთს ვერა ნახავთ, რომ წერა-კითხვა არ იცოდეს.

— პეტერბურგისა, პსკოვისა, ნოვგოროდისა და ტვერის გუბერნიები აღდგომის შემდეგ კვლავ შეუდგებიან გამოკვლევას, რომელსაც საგნადა აქვს გუბერნიებში ჭაობებიან ადგილების გაშრობა.

— ქ. კალუგაში იბეჭდება გაზეთი „კალ. ვესტ.“ ამ გაზეთს იმდენი მკითხველი ჰყოლია ქ. ტულაში, რომ რედაქციას აქაც თავისი განყოფილება გაუმართავს. მაგრამ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ამ საქმეს ცუდის თვალით შეჰხედა თურმე და ის მოხელე, რომლის ცოლის სახელობაზედ გაიმართა განყოფილება გაზეთის რედაქციისა, იძულებულ ჰყვეს სამსახურიდგან გამოსულიყო. გარდა ამისა, განყოფილებას ბრძანება მოუვიდა, შეგვატყობინეთ სახელი და გვარი იმ კორესპონდენტებისა, რომლებიც ზემოხსენებულ გაზეთში სწერენ და კორესპონდენციებს ფსევდონიმებს აწერენო. განყოფილებამ ეს ბრძანება არ აასრულა. („ლუჩ.“)

## უცხოეთი

**აღმოსავლეთის საქმე.** ოსმალეთს საბერძნეთთან შედარებით ჯარიც მეტი ჰყავს და ეს ჯარი საბერძნეთის ჯარზედ უკეთაც არის გაწვრთნილი და შეიარაღებული, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ოსმალეთს მაინც ძლიერ ეშინიან ომისა. ამას ნათლად გვიმტკიცებს გუშინდელი დეპეშა, რომელიც გვაუწყებს: პორტამ დიდ სახელმწიფოთ მისწერა, რომ თუმცა საბერძნეთმა მშვიდობიანობა დაარღვია და ომი გამოაცხადა, მაგრამ რადგან ჩვენ მშვიდობიანობა გვწადიან, მზადა ვართ ჩვენი ჯარი უკანვე გავიხმოთ, თუ საბერძნეთიც თავის მხრივ ჯარს საზღვრიდგან უკან დასწევს და აგრეთვე კრიტიდგანაც გაიყვანს ჯარსაო. როგორცა სჩანს, ოსმალეთმა სამარცხვინო საშუალებას მიჰმართა, ევროპის წინაშე ქედი მოიხარა და შეევედრა, თქვენი ჭირიმე, მიშველეთო, მაგრამ გვიან-ღა არის.

საკვირველიც არაა ოსმალეთის მხრივ ასე თავის დამდაბლება; კაცს რომ გაუჭირდება, როცა კარგად იცის, რომ ჩემს საქმეს არა ეშველება-რაო, შეიძლება უფროც დაიმციროს თავი. ოსმალეთი რომ დარწმუნებული იყოს, მარტო საბერძნეთთან მექნება საქმე, სხვა მოდავე არავინ ამიტყდებაო, რაღა თქმა უნდა, სრულიად არხეინად იქნებოდა და ბერძნებისათვის იქნება კიდეც დაესწრო ომის გამოცხადება. მაგრამ საქმე ის არის, რომ იგი აუარებელს სვავსა და ყვავყორანს შესცქერის, რომელნიც თავს დასტრიალებენ და მისის ხორცით გაძღომას მოელიან.

დიდ სახელმწიფოებს რომ თავი დავანებოთ, პატარა სახელმწიფოებიც ადვილად დაიმორჩილებენ ოსმალეთს და სულ ლუკმა ლუკმად აქცევენ. საბერძნეთს გარდა, ბოლგარია, სერბია და ჩერნოგორიაც პირ-დაღებული და სულ-განაბული შესცქერიან ოსმალეთის სამფლობელოს ევროპაში. მაკედონიაში, მაგალითად, ბერძნებიც სცხოვრობენ, ბოლგარელებიცა და სერბიელნიც და სამივე ეს პატარა სახელმწიფო მაკედონიის გამოცლას უპირებს ოსმალეთს ხელიდგან. ყველაზედ უფრო პატარა, მაგრამ ფხიზელი და მამაცი ჩერნოგორია ალბანიის მითვისებას აპირებს და ამ მხრივ სხვებს არც ის ჩამორჩება უკან. ერთის სიტყვით, ოსმალეთის ყველა სამფლობელოს ევროპაში ყოველის მხრივ მტრები ახვევია გარს, რომელთა შეერთებული ძალა ოსმალეთს თუ არ გადააჭარბებს, უკან მაინც არ ჩამორჩება.

კარგა ხანია ხმა გავრცელდა და ეს ხმები თანდათან მტკიცდება, რომ ბოლგარიამ, სერბიამ და ჩერნოგორიამ ერთმანეთ შორის კავშირი შეჰკრესო. რაღა თქმა უნდა, ამ კავშირს ის აქვს საგნად, რომ ოსმალეთის სამფლობელო ერთმანეთ შორის გაინაწილონ და ამას კიდევაც მოახერხებენ, თუ დიდმა სახელმწიფოებმა ხელი არ შეუშალეს, ე. ი. თუ დიდმა სახელმწიფოებმა თითონ არ მოინდომეს ოსმალეთის ამა თუ იმ ადგილის მითვისება.

## დამაკვირდი

(ბ. და—ლი)

კაცობრიობა ემსგავსება მაგარისა და გრძელის ჯაჭვით დაბმულს ლომს: თავისუფალი ჰგონია თავი და წინ მიისწრაფის, ვიდრე ჯაჭვი გასწვდება, მაგრამ მოვა დრო, როდესაც ჯაჭვი აღარ გასწვდება და მაშინ ძალაუნებურად უკან მობრუნდება, რომ ახლა სხვა მხარეს გაიწიოს.

***

ვიდრე ასებობს ბრძოლა არსებობისათვის, ეგოიზმიც არ მოისპობა, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ კერძო ანგარიშებს გარეშე სხვა აღარა უნდა გვახსოვდეს-რაო.

***

ბუნებს მძულს არა იმიტომ, რომ მეშინოდეს იმისსავე, არამედ იმიტომ, რომ შესაყვარებელი არა აქვს-რა.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

პარიჟის გაზეთში „Journal des Débats“-ის მეფელეტონე ანრი დე-პარვილი სწერს რენტგენის სხივების შემწეობით გამართულ წარმოდგენის შესახებ, რომელსაც ეს მწერალი დასწრებია. ჩვენ შეგვიყვანესო, სწერს ანრი დე-პარვილი, ერთს დიდს დარბაზში, რომელშიაც არც ერთი მანქანა არ ყოფილა, ერთს კუთხეში იდგა მხოლოდ პატარა მანქა-

ნა, შავის ტილოთი გადაფარებული. დარბაზში სულ ოცი კაცი იყო. ოთახში სანთლები გააქრეს. უეცრად გაისმა რაღაც ხმა და გამოჩნდა ცეცხლის ხელი. ზოგიერთებმა შიშით შეჰკივლეს. „ნუ გეშინიანთო“, გაისმა კაცის ხმა: „ამ ხელს მერე გიჩვენებთ, განათებულს“. შემდეგ ჰაერში დაიწყეს ფრენა თეთრად განათებულმა ქიანურებმა. მერე ჭერიდგან ჩამოვიდა დიდი განათებული ბურთი. გაჩნდა განათებულივე ზარი და დაიწყო რეკვა. სარკეებში გამოჩნდა დიდი სინათლე. ყვავილების ქილები გაბრწყინდა. ჭურჭელმა ბრჭყვიალი დაიწყო. ხალიჩაზედაც ბრჭყვიალა ჭიებმა დაიწყეს სიარული. დარბაზში მყოფ ზოგიერთ ხალხს ეგონა, აქ რაღაც ჯადოქრობა არისო. დარბაზი ისევ დაბნელდა, მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ გამოჩნდა წყალით სავსე გრაფინი და ჰაერში გაჩერდა. მეორე კუთხიდგან გამოფრინდა სინი და გრაფინს ამოუდგა; მესამე კუთხიდგან წამოვიდა თავის თავად ჭიქა და სინზედ დასკუპდა. მერე გაჩნდნენ სინზედ საშაქრე და ვერცხლის კოვზი. საშაქრიდგან თავის თავად ამოდიოდა შაქარი და იყრებოდა ჭიქაში. გრაფინი თავის თავად წყალს ასხავდა. კოვზი ურევდა. მერე უეცრად ჭერიდგან ჩამოცვივდა ტკბილეული. იატაკზედ დაიწყეს სიარული გველებმა. ცოტა ხანს შემდეგ გამოჩნდა ლანდი. ლანდი—მაღალის ტანის ქალია, გაფითრებული სახე აქვს, თვალების მაგიერად ორი შავი წერტილი მოჩანს. თმა უბრწყინავს. ხელის თითებიდგან სხივი გამოდის. მერე ეს ქალი ლუკმა-ლუკმად იქცა და გაჰქრა. ჭერში გამოჩნდა დიდი თაიგული. გარშემო ცეცხლის ასოებით ეწერა: „რენტგენის სხივები“. სწორედ ამ სხივების წყალობით იყო გამართული მთელი წარმოდგენა. ეს სხივები ანათებდა ისეთს საგნებს, როგორიც არის მაგალითად, გრაფინი, ჭიქა, კოვზი და სხვ. ყველა ეს ადამიანს უჭირავს ხელში, მაგრამ თვით ადამიანი არა სჩანს და ხალხს ისე ჰგონია, ზემოხსენებული ნივთები თავის თავად დაფრინავენ ჰაერშიო. რაც შეეხება ლანდს ეს ქალი გახლდათ, სახეზედ უმარილ წასმული. ტანთსაცმელზედ ბრჭყვიალა ღილები ჰქონდა დაკერებული.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 აპრილი

**პარიზი.** კონსტანტინეპოლში მყოფ საბერძნეთის ელჩის თხოვნით, იქაურს საფრანგეთის საელჩოს ნება დაერთო მფარველობა გაუწიოს ოტტომანთა იმპერიაში მყოფ რომის კათოლიკეთა სარწმუნოების ბერძნებს.

**კონსტანტინეპოლი.** საბერძნეთ შინაგან ოსმალეთის ქვეშევრდომნი გერმანიას ჩაჰბარდა მისდა დასაფარავად და დასცველად.

პრევეზის ციხე-სიმაგრეს ყუმბარები დაუშინეს, რადგან წინააღმდეგობას უწევდა საბერძნეთის გემის არტის ყაერედგან გამოსვლას.

ახალი მსოფლიო პატრიარქი ოფიციალურად იქმნა მიღებული სულთანის-მიერ.

* * *

**კორფუ.** საბერძნეთის ჯარი მიიწევს ფილიპიალასაკენ, არტისაგან ჩრდილო-დსასავლეთისაკენ. 800 კაცი ემზადება გადასასვლელად პრევეზში, რომლის სიმაგრე სრულიად დანგრეულია.

**კონსტანტინეპოლი.** ელასონიდგან მოსულ დეპეშებიდგან სჩანს, რომ ღამით ბერძენთა ჯარი ოსმალეთის ჯარს თავს დაესხა, კრანიასთან, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ. ბრძოლა ყველა ბანაკთან ასტყდა. ოსმალეთის თერთმეტი ბათალიონი თავს დაესხა მალუნოს მაღლობზედ ციხე-სიმაგრეებს. ბრძოლა გამწვავდა 28 სათს გასტანა. მალუნოსთან ოსმალებმა დაიპყრეს ბერძნების ორი სიმაგრე. ოსმალეთის ერთმა ბრიგადამ დაიპყრო პერკარი და პაპალივადია.

**ლონდონი.** ოსმალეთის ჯარის უმთავრესის ბანაკიდგან იუწყებიან: „თავ-განწირული ბრძოლა არ შეწყვეტილა. ოსმალებმა თითქმის საზღვარს მიაღწიეს. მრავალი ტყვია-წამალი დაიხარჯა, მაგრამ ამაოდ; მოკლული ცოტაა. სულიდგან მოსული დეპეშა იუწყება, რომ იზელინის სიმაგრე ევროპიელ ჯარებმა შეიპყრეს.

ელასონიდგან: „მალუნის უღელტეხილი ოსმალთა ხელშია.“

**ვენა** სალონიკიდგან: საბერძნეთის გემი „თესალია“ შეიპყრეს.

**ცეტანიე.** მუთჰე სარიფსბრძანება მოუვიდა ბარანედგან თავისის ჯარით იებკში წამოვიდესო. ალანიის მაჰმადიანნისამშობლოში დაბრუნდნენ. წესიერება დამყარდა.

**კანეა.** სულას კუნძულის და იზედინის სიმაგრიდგან, რომლებიც სუდას ნავთ-სადგურთან არიან, ამართული დროშები ექვსის დიდ-სახელმწიფოსი და ამით ამ ადგილს იცავენ ვასოსის თავს-დასხმისაგან.

**კონსტანტინეპოლი.** ოფიციალურის ცნობებით, გუშინდელი ბრძოლა იმით დაბოლოვდა, რომ საბერძნეთის ყველა ბანაკი მელუნიდგან მოკიდებული ტირნაოსის მიდამომდე ხელ-ჩართულის ბრძოლით იქმნა დამორჩილებულილი. საბერძნეთის ჯარში ბევრი დაიხოცა; ოსმალეთის ჯარს ნაკლები ზარალი მოუვიდა; ოსმალეთის ჯარის რამდენიმე აფიცერი მოკლულ იქმნა. ედჰემფაშა ჯარს ერთს ერთს ადგილას ძავს უყრის. ჰფიქრობენ, რომ დღედღეზედ იგი 60,000 კაცით ტირნავოსისა და ლარისისაკენ წავა. მე-2 დივიზიის ბრიგადის უფროსი აბდულფარა ტირავოსთან ბრძოლის დროს მოჰკლეს. ილდიზ-კიოსკის ცნობებით, საბერძნეთის ადგილ-მამულში ოსმალეთის სამი დივიზია იმყოფება. იმ ამბავს, რომ ვითომ პრევეზი დაჰმორჩილებოდეს, ოფიციალურად უარ ჰყოფენ, პრევიზის მთავრობამ განაცხადა, რომ არტის ყურეში შესვლა, ოსმალეთისა გარდა, სხვა გემებს აღკრძალული აქვსო.

როგორც ისმის ოსმალეთის ჯარმა ბერძნების ბანაკი ტირნავოსი დაიპყრა და წინ წაიწია. ბერძნების ბრბო ათონში გადავიდა. იქ ოსმალეთის ჯარი გაგზავნეს.

**კონსტანტინეპოლი.** დივიზიის გენერალი აბდულა დანიშნულ იქმნა მომქმედ ჯარის უფროსად. ხმა გავრცელდა, რომ ლარისას მახლობლად სრძოლა მოხდა და ეს ქალაქი დაიპყრესო. ოფიციალურად ეს ჯერ არ დიმტკიცებულა.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

საჭიროდ ვრაცხთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას იმ წერილზედ, რომელსაც „ჯეჯილის უკიდურესი მდგომარეობა“ ჰქონდა სათაურად, (იხ. ცნობის ფურცელი“ 1897 წ. № 131) შევნიშნოთ შემდეგი: ჩვენ ფიქრადაც არ მოგვსვლია იმის თქმა, ვითომ „ჯეჯილს უნიჭობის დაღი ასჯდომოდეს მუდამ ჟამს და მეტადრე წარსულ 1896 წელს“. გვიკვირს, რად დასჭირდა ბ-ნ რედაქტორს „დია წერილის“ შემდეგი ადგილის ასე უცნაურად გადაკეთება; „თქვენ მეუბნებოდით, ადრე უფრო კაი მასალას ვბეჭდავდი და ნიჭიერი თანამშრომელი მყავდა“ (იხ. „კვალი“ 1897 წ. № 10). თუ თითონ რედაქციის აზრია ასეთი, ვინ დაუშალა მერე თავისის აზრის პირდაპირ წარმოთქმა, ჩვენ რაღას მოგვაწერა იგი?

ზემო მოყვანილი სიტყვები „ცნობის ფურცლის“ რედაქციისა ჩვენ უსაფუძვლო ცილის-წამებად მიგვაჩნია, რომელიც არ დაუმსახურებია არც თვით ჟურნალსა და იმის არა ერთ და ორ ნიჭიერ თანამშრომლებს და არც ჩვენ, რადგანაც ჩვენ იმ აზრისანი ვიყავით, რომ „ჯეჯილი“ სწორედ პირნათლად ასრულებდა თავის დანიშნულებას, რომ იგი არ ჩამოუვარდებოდა რუსულ საყმაწვილო ჟურნალებს, რომელნიც ყოველის მხრით გაცილებით უფრო კარგს გარემოებაში იმყოფებიან. გადაათვალიერეთ რაზიკაშვილების მოთხრობები, ჩვენის სასიქადულო პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის წერილები, გ. წერეთლის სტატიები, ილიკოს სამეცნიერო წერილები და დარწმუნდებით, რომ „ჯეჯილი“ არ იყო ასე უბად-ასადები. ჩვენ ის-ღა გვიწდოდა შეგვენიშნა, „ჯეჯილის“ რედაქციისათვის, რომ 1896 წ. უფრო სუსტი მასალა იბეჭდებოდა, ვიდრე წინა წლებში. ამ მოვლენის ერთ-ერთ მიზეზად ჩვენ ვასახელებდით იმ გარემოებას, რომ წარსულ წელს იმ ნიჭიერ თანამშრომლებმა, რომელთა წერილებიც ამშვენებდნენ წინა წლების ნომრებს, ჩვენ მიერ გაუგებარის მიზეზისა გამო, ჟურნალში ძალიან ნაკლებად მიიღეს მონაწილეობა. არ ვიცით, რით უნდა აიხსნას ეს სამწუხარო გარემოება, თითონ რედაქციის გამოუცდელობით, თუ თანამშრომლების გულ-გრილობით, ოღონდ თქვენც დაგვეთანხმებით, ბ-ნ რედაქტორო, რომ ეს მოვლენა ფრიად სამწუხაროა.

ერთი საყმაწვილო ჟურნალი, რომელმაც ჩვენ ბავშებს უნდა ასწავლოს ენა, გაუღვიძოს ქართულ წიგნების კითხვის სურვილი, შეიტანოს თავისი წვლილი ეროვნულ სახის შერჩენაში, ვერ გვისაზრდოებია, ამ დიადის საგნისათვის მაინც ვერ დაგვიგიწუნია ჩვენი წვრილმანი ანგარიშები, ჩვენი პსიხოპატური თავ-მოყვარეობა და რაღაც რაღაცეებს-კი გვშორტინებით!

სად გვქონდა, ბატონო, დრო ან გამოცდილება, რომ აქ, სადაც მთელი ჩვენი დრო და ძალ-ღონე მეცნიერების შესწავლას უნდა მოხმარდეს, საჯეჯილოდ მასალა გვეჩხრიკა, მაგრამ როდესაც გავიგონეთ „ჯეჯილი“ განსაცდელშიაო“ საყმაწვილო ჟურნალის დიად მნიშვნელობაში დარწმუნებულებმა გავარკეცეთ შრომა და ვიკისრეთ ის, რაც ჩვენთვის მნელი საკისრი იყო. გვინდოდა თქვენის გამოცდილი მწერლობის ხელმძღვანელობით ჩვენც რამე გაგვეკეთებინა, უწინდელ თანამშრომლების ნაღვაწისათვის ჩვენიც მიგვემატა, მით რედაქტორს მეტის მასალიდგან საუკეთესოს ამორჩევა შესძლებოდა და ჟურნალიც აღარ მოსპობილიყო.

დასასრულ ვიტყვით, რომ „ჯეჯილი“ რაც უნდა იყოს ჯერ ასე არ დაცემულა, რომ ჩვენ ბავშვს ამ უკუღმართს დროში 4—5 მანეთად არ ეღირდეს, და თუ მიუხედავად ამისა, თანაგრძნობას ვერ იხვეჭს, ეს ჩვენის აზრით, უფრო მშობლების შეუგნებლობით უნდა აიხსნას, ვიდრე ჟურნალის უვარგისობით; ამიტომ, ერთის მხრით, სავსებით ვეთანხმებით „ივერია“-ში მოთავსებულ ბ-ნ ფარნაოზის მეთაურის აზრს და, მეორეს მხრით, არ თანაუგრძნობთ იმ კილოს, რომლითაც „ცნობის ფურცლის“ შენიშვნაა დაწერილი.

„ჯეჯილის“ მოსკოველი თანამშრომელი.

---


# განცხადებანი

თამარის სურათი ატლასზე შეკერილი ბალიშებისთვის . . . . . . . 2 მ. კ.
აბაჟური ექვს ცნობილ მწერალთა სურათებით . . . . . . . . 3 „ „
აბრეშუმის ცხვირსახოცები იმავე მწერალთა სურათებით . . . . . 60 კ.—80 კ.
წიგნებში ჩასადები ლენტი . . . . . . . . 25 კ—30 კ.

ვინც ბევრს იყიდის, იმას იაფად დაეთმობა. ვისაც ჰსურს თავისი სურათი ამოაკერინოს, შეუძლიან მიჰმართოს ამ ადრესით: ტფილისი, საპიოხის ქუჩა, სახლი № 12, მურადოვისა, ა. როდიონოვისას. (14)

---

# „ქელისციხე“

მომავალ დღესასწაულებისთვის **საუკეთესო კახური** ღვინოები მიიღე. ვედრო 2 მან. 40 კაპ. ვიდრე 12 მან., თუნგი 80 კაპ. ვიდრე 4 მან. და ბოთლი 16 კაპ. ვიდრე 1 მან.

სარდაფი იმყოფება პუშკინის ქუჩაზედ, ტერ-ასატუროვის შენობაში.

მიხეილ გიორგის ძე ტარასოვი

(5—93—3)

---

ახლად გამოვიდა და ისყიდება

## ფაბიოლა

ანუ წინანდელი ქრისტიანები

გამოცემა უდაბურ წყალწმიდის მმობისა, თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შულაროვთან.

---

წიგნთ-საცავი და სამკითხველო

## ა. ი. კუდენკოსი

ქუთაისს.

ვაუწყებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩემს წიგნთ-საცავში ცალობით იყიდება გაზეთები: „ივერია“ „Новое Обозрѣніе“, „Тиф. Лист.“ და „Черном. Вѣст.“.

(2—უ—1)

---

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილწვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

**ბ. მ. მირიმანიანისა**

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(6)

---

ყვავილებისა და ხეხილების გასაშენებელი ბაღი

## ქ. ფ. გლავაჩევის

(მდინარე ვერაზე, ხიდის გაღმა, მარჯვნივ) ისყიდება ნამყენი ხეხილები, კვიპაროზისა და მრავალი სხვა მშვენიერი ხეხილი და ბუჩქები.

თესლეულობის მაღაზიაში,

გოლოვინის პროსპექტზედ (სახლი დობრჟანსკისა) ისყიდება ახალი თესლები ყვავილებისა და საბოსტნე; უმრავლესი ნაწილი თესლისა საკუთარი ბაღიდგან არის.

(6—86—6)

---

ადრესი: კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თ დ. კ. ი. მუხრან ბატონიშვილისა, № 6/1

ტელეფონი № 444.

# შუამაპალი

ალებ-მიცემის მაღაზიაში იყიდება ძლიერ იაფად საუკეთესო ლორი (ვიჩინა) ლორისა. ისყიდება აქვე: გამომცხვარი პასკები „ლუისის“ ქარხნისა; კვერცხი და კვერცხის საღებავები; ფქვილები და ყოველგვარი სამზადისი პასკისა,—და აგრეთვე ღვინოები, არყები და სასმელები ადგილობრივი, რუსეთისა და საზღვარ გარეთისა.

(3—94—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ 8 го Апрѣля 1897 г. სტამბა შ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.